

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 13 დეკემბრის სხდომის

ო ქ მ ი N 6

2019 წლის 13 დეკემბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: გიორგი ჭეიშვილი, ლევან გორდეზიანი, ავთანდილ სონღულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ვაჟა კიკნაძე, დოდო ჭუმბურიძე, ელდარ ბუბულაშვილი, ნინო მინდაძე, ს. ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი. საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს მდივანი ლიანა ბითაძე სამეცნიერო მივლინებით იმყოფება ყაზახეთში, ამიტომ სხდომის მდივნად დასახელდა სალომე ოქრუაშვილი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის 2019 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში (თანამშრომლების მიერ ანგარიშების ელექტრონული ვერსიის დროულად გამოგზავნა, განყოფილებების ხელმძღვანელების ანგარიში წლიური თემების შესრულებასთან დაკავშირებით, მონიტორინგის კომისიის არჩევა).
2. ინსტიტუტის 2019 წლის ფინანსური ანგარიში (გ. ჭეიშვილი).
3. ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უცხოეთში სამეცნიერო მივლინებების ანგარიში (გ. ჭეიშვილი, ლ. ჯანიაშვილი).
4. ინსტიტუტის ლოგოს შერჩევა.
5. ანგარიში 2019 წლის სხდომებზე დაგეგმილი აქტივობების (ინსტიტუტის სამეცნიერო სტრატეგია, ინსტიტუტის იუბილესათვის მზადება, მცირე საგრანტო პროექტების მომზადება და ა.შ) მიმდინარეობის შესახებ.
6. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ინსტიტუტის 2019 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში (თანამშრომლების მიერ ანგარიშების ელექტრონული ვერსიის დროულად გამოგზავნა, განყოფილებების ხელმძღვანელების ანგარიში წლიური თემების შესრულებასთან დაკავშირებით, მონიტორინგის კომისიის არჩევა).

ლავრენტი ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ 2019 წელს შესრულებული სამეცნიერო მუშაობის შედეგების შესამოწმებლად საჭიროა შეიქმნას მონიტორინგის კომისია. თითოეული განყოფილებიდან კომისიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი მეცნიერი.

ასევე, თსუ-სა და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გასაგზავნი ანგარიშები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით მოთხოვნის შესაბამისად, 16 დეკემბრამდე და განყოფილებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, უზრუნველყოთ, რომ თანამშრომლებმა დროულად წარმოადგინონ ანგარიშები.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** გიორგი ჭეიშვილმა, ვახტანგ გოილაძემ, სალომე ოქრუაშვილმა.

განყოფილების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს კანდიდატურები: ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებიდან - ნანა ბახსოლიანი, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილებიდან - ვახტანგ გოილაძე, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებიდან - დოდო ჭუმბურიძე, საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებიდან - გიორგი მამარდაშვილი, კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებიდან - ნათია ჯალაბაძე. რადგან ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი მივლინებაში იმყოფება, მოგვიანებით წარმოადგენს თავის კანდიდატურას.

წამოყენებული იქნა წინადადება, რომ მონიტორინგის კომისიამ შემოწმება მომავალი წლის იანვრის ბოლო კვირაში ჩაატაროს.

მონიტორინგის კომისიის ასარჩევად **ჩატარდა ღია კენჭისყრა:**

მომხრე – 11 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 2019 წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშების შესამოწმებლად, შეიქმნას მონიტორინგის კომისია დასახელებული შემადგენლობით. კომისიის წევრებმა პირველ სხდომაზე აირჩიონ თავმჯდომარე. მონიტორინგის შედეგები (მუშაობის დასრულების შემდეგ) წარუდგინონ სამეცნიერო საბჭოს პირველივე სხდომაზე.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის 2019 წლის ფინანსური ანგარიში (გ. ჭეიშვილი).

გიორგი ჭეიშვილი: ინსტიტუტის საბუღალტრო-საფინანსო საქმის სპეციალისტმა, ნინა უგულავამ წარმოადგინა 2019 წლის ფინანსური ანგარიში. მიმდინარე წელს შრომის ანაზღაურების მუხლში ნაშთი არ დარჩა; შევიძინეთ 3 კომპიუტერი; სამეურნეო დანიშნულების საქონლი; დამონტაჟდა გათბობის სისტემა ანთროპოლოგიის მუზეუმში; ფანჯრებზე გისოსები გაკეთდა; დაფინანსდა თანამშრომელთა სამეცნიერო მივლინებები

ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ. მივლინებითან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ დაფინანსება გაიცა აქტიურ თანამშრომლებზე. წლის დასაწყისში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ განყოფილებების ხელმძღვანელებს გადმოეცათ სიები, თუ რომელ კონფერენციებში უნდოდათ მონაწილეობის მიღება მათი განყოფილების წევრებს; სამწუხაროდ, აქტივობა იყო მინიმალური; დაფინანსდა კრებულ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მორიგი ნომრის ბეჭდვა (რედაქტორი მარიამ ჩხარტიშვილი).

ასე რომ, ჩვენი ბიუჯეტი, რომლის ოდენობაც 440 000 ლარია, სრულად იქნა ათვისებული.

გაიმართა მსჯელობა **აზრი გამოთქვებს**: გიორგი ჭეიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვახტანგ გოილაძემ, როლანდ თოფჩიშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, ავთანდილ სონდულაშვილმა და სხვა.

საბუღალტრო-საფინანსო საქმის სპეციალისტის, ნინა უგულავას მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

3. ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უცხოეთში სამეცნიერო მივლინებების ანგარიში (გ. ჭეიშვილი, ლ. ჯანიაშვილი).

ლავრენტი ჯანიაშვილი: ყაზახეთში ჩატარდა კონფერენცია, რომელშიც ვმონაწილეობდი. კონფერენცია ეძღვნებოდა ევრაზიის ველზე მომთაბარე ყაზახების იდენტობის ძიებას. იდენტობის ძიება და თანამედროვე ყაზახური სახელმწიფოს აგების პრობლემები იქ სახელმწიფოებრივ დონეზეა აყვანილი. ყაზახეთის სახელმწიფო ისტორიის ინსტიტუტს ჰყავს 50 თანამშრომელი, განთავსებულია მთავრობის სასახლეში, მეთერთმეტე სართულზე და აქვთ ძალიან მაღალი ხელფასები. კონფერენცია წარმომადგელობითი იყო, თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან იყვნენ წარმომადგენლები. თემატიკა ეძღვნებოდა ოქროს ურდოს და ყივჩაღების ისტორიის კვლევას. წინ წამოწეული იყო საკითხი, რომ ოქროს ურდოს როლი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იყო სრულიად გამრუდებულად წარმოდგენილი, რადგან ნეგატიურ პრიზმაში აღიქვამდნენ მონღოლთა ლაშქრობებს ევროპისაკენ, მათ მოძრაობას. მათი აზრით, ეს მიდგომა სრულიად გადაფასებას მოითხოვს. გამჟღავნებული იყო აზრი, რომ ოქროს ურდომ უზარმაზარი პოზიტიური როლი შეასრულა თანამედროვე ევრაზიის კონტინენტზე არსებული პოლიტიკური წარმონაქმნების ისტორიაში და რომ არა ოქროს ურდო, ბევრი ქვეყანა საერთოდ არ იარსებებდა დღევანდელ ევრაზიაში. ყივჩაღებთან დაკავშირებით, ისინი მიიჩნევენ, რომ ეს თურქული მოდგმის ხალხია, პანთურქისტული თეორიების წინა პლანზე წამოწევა შეიძენოდა ამ კონფერენციაზე. მართალია, არ იყო საუბარი მთლიანად თურქული სამყაროს გაერთიანებაზე, მაგრამ საუბარი იყო, თუ ვის შეიძლება ჰქონდეს თურქულ სამყაროში ლიდერის როლი და ასეთი, უმრავლესობის აზრით, უნდა მიენიჭოს

ყაზახეთს, რომელიც არის აბსოლუტური მემკვიდრე ოქროს ურდოსი და ყივჩაღური ისტორიაც, ბუნებრივია, მათ საკუთრებად მიაჩნიათ. მათ ჩვენგან აინტერესებთა წერილობითი წყაროები ყივჩაღების შესახებ, რაც ჩვენ წყაროებშია დაცული. მე მქონდა მისასალმებელი სიტყვა, სადაც გამოვთქვი სურვილი, რომ ყველა მათ დამსწრე ინსტიტუციასთან გვექონდეს ორმხრივი თანამშრომლობა, გვექონდეს მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები, რაც გამოიხატება ერთობლივი პროექტების განხორციელებაში, საერთო ლიტერატურის მიმოცვლაში. იდენტობის ძიების საკითხებში, მათ წარმატებები აქვთ. ერთიანი ყაზახური იდენტობის ფორმირება მათ სახელმწიფოებრივ დონეზე აქვთ აყვანილი. მრავალმხრივ იყო საინტერესო ეს კონფერენცია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფოებრივი მიდგომის პირობებში ისტორიული მეცნიერება გამოყენებული იყოს მძლავრ იდეოლოგიურ საფუძვლად და მან გავლენა მოახდინოს ერის თვითშეგნების, ერის იდენტობის ფორმირებაში.

გიორგი ჭეიშვილი: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ვიმყოფებოდი სამეცნიერო მივლინებაში იორდანიაში. მოგეხსენებათ, შეხარის მონასტერი არსებობდა XI საუკუნეში დაარსებული გიორგი თბილელის მიერ. ცნობები ამ მონასტრის მიერ ქალბატონ ელენე მეტრეველს ჰქონდა ამოკრეფილი ანდერძმინაწერებიდან და მან შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ინფორმაცია ამ მონასტრის შესახებ. დღესაც არსებობს ტოპონიმი „შეჰარის მთა“ იორდანიაში, კარაკის პროვინციაში და იქ ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები. ასევე, არსებობს ცნობები - არონის უდაბნოში (მას დღეს ვადი მუჯიბი ჰქვია), მკვდარ ზღვასთან უერთდება მას, მშრალი ხეობა არის, სადაც ქართველთა ჯვრის მონასტრის განმაახლებელი პროხორე გადავიდა და თავისი ცხოვრების ბოლო წლები იქ გაატარა. სამწუხაროდ, ვადი მუჯიბის ხეობაში შესვლა ვერ მოხერხდა, სეზონი უკვე დაკეტილი იყო, თუმცა ჩატარდა გარკვეული დაზვერვითი სამუშაოები შეხარის მთაზე, სადაც მომავალი წლიდან დაიწყება არქეოლოგიური გათხრები.

მოსმინეს:

4. ინსტიტუტის ლოგოს შერჩევა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: დიდი ხანია მიდის საუბარი ინსტიტუტის ლოგოს შერჩევასთან დაკავშირებით. გვექონდა რამდენიმე ვარიანტი, ქალბატონმა თეა ქამუშაძემ შემოგვთავაზა დიზაინერის მიერ შესრულებული 3 ახალი ვარიანტი და გთხოვთ, აზრი გამოთქვათ.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ვახტანგ გოილაძემ, სალომე ოქრუაშვილმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ელდარ ბუბულაშვილმა. იყო აზრთა სხვადასხვაობა.

დაადგინეს: სამეცნიერო საბჭოს წევრებს დაეგზავნოთ ინსტიტუტის ლოგოს ვარიანტები. ორი კვირის განმავლობაში, ელექტრონული სახით მიაწოდონ დირექციასა და საბჭოს

თავნჯდომარეს თავიანთი შეხედულებები, კონკრეტული წინადადებები არგუმენტაციით. განხილვა გადაიდოს სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომისათვის.

მოისმინეს:

5. ანგარიში 2019 წლის სხდომებზე დაგეგმილი აქტივობების (ინსტიტუტის სამეცნიერო სტრატეგია, ინსტიტუტის იუბილესათვის მზადება, მცირე საგრანტო პროექტების მომზადება და ა. შ.) მიმდინარეობის შესახებ.

გიორგი ჭეიშვილი: რონდელის ფონდის პროექტი დაწყებულია, ქალბატონი დოდო ჭუმბურიძე და ქალბატონი ხათუნა ქოქრაშვილი უკვე ასრულებენ დაგეგმილ სამუშაოს და იანვრიდან ახალი ძალები ჩაერთვებიან ამ პროექტში. მათი ინტერესია აჩვენონ უცხოეთს რუსეთის დამპყრობლური ბუნება. ჭირდებათ კვალიფიციური, პოპულარულ ენაზე დაწერილი დასკვნა, რომლიც ითარგმნება რუსულად და ინგლისურად. ეს პროექტი დაფინანსების ერთ-ერთი ახალი წყაროა, პირდაპირ დაიდება ხელშეკრულებები შემსრულებლებთან.

მეორეა პროექტი, რომლითაც შეიძლება დაფინანსდეს ეთნოგრაფიული ექსპედიცია – მონახაზი ჯერ არ გაგვიკეთებია.

ინსტიტუტის იუბილესთან დაკავშირებით მზადება ჯერ არ დაწყებულა. არ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, ქალბატონმა ნანა მაჭავარიანმა განაცხადა, რომ მათი ინსტიტუტი არსებობას იწყებს 1950 წლიდან, როცა დაიშალა ენიმკი და რადგან ორივე ინსტიტუტს გვიწევს საიუბილეო თარიღი, შევთავაზე იქნებ, ერთად ჩაგვეტარებინა საიუბილეო ღონისძიება. ვიფიქროთ, რამდენად მისაღებია. ფინანსების მოპოვება, ალბათ, უფრო გაიოლდება.

კიდევ ერთი საკონფერენციო გრანტი მოვიპოვეთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. კონფერენცია იქნება საერთაშორისო, მასში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. სპეციფიკურად მიმართული იქნება ხევის და თრუსოს პრობლემატიკაზე, და გთხოვთ, განყოფილების ხელმძღვანელებს, მიაწოდოთ თქვენ თანამშრომლებს ინფორმაცია, რათა სურვილის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღონ ამ კონფერენციაში.

ასევე, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა კვლევითმა ცენტრმა მოიგო საერთაშორისო საკონფერენციო გრანტი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, თემატიკა იქნება აფხაზეთი და შიდა ქართლი, ჩვენ იქ თანამონაწილე ორგანიზაცია ვართ და ასევე, თანამშრომლებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მასში.

გამართა მსჯელობა, აზრი გამოთქვას: ავთანდილ სონღულაშვილმა, ვახტანგ გოილაძემ, ნინო მინდაძემ, სალომე ოქრუაშვილმა, დოდო ჭუმბურიძემ.

დაადგინეს: დაევალოთ განყოფილების ხელმძღვანელებს სამეცნიერო კონფერენციების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ თანამშრომლებს, რათა მათ შეძლონ მონაწილეობა ამ საერთაშორისო ფორუმებში.

მოისმინეს:

6. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი დებულებით ითხოვს, რომ მის მიერ დაფინანსებული პროექტებით გამოცემული წიგნი იყოს სამეცნიერო საბჭოს მიერ ვიზირებული. დავით ჭითანავამ მოიგო საგამომცემლო პროექტი და მოგვიწევს მისი ნაშრომის განხილვა საბჭოს სხდომაზე.

სხდომამ დაადგინა:

1. 2019 წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამეცნიერო მუშაობის ანგარიშების შესამოწმებლად, შეიქმნას მონიტორინგის კომისია დასახელებული შემადგენლობით. კომისიის წევრებმა პირველ სხდომაზე აირჩიონ თავმჯდომარე. მონიტორინგის შედეგები (მუშაობის დასრულების შემდეგ) წარუდგინონ სამეცნიერო საბჭოს პირველივე სხდომაზე.
2. სამეცნიერო საბჭოს წევრებს დაეგზავნოთ ინსტიტუტის ლოგოს ვარიანტები. ორი კვირის განმავლობაში, ელექტრონული სახით მიაწოდონ დირექციასა და საბჭოს თავმჯდომარეს თავიანთი შეხედულებები, კონკრეტული წინადადებები არგუმენტაციით. განხილვა გადაიდოს სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომისათვის.
3. დაევალოთ განყოფილების ხელმძღვანელებს სამეცნიერო კონფერენციების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ თანამშრომლებს, რათა მათ შეძლონ მონაწილეობა ამ საერთაშორისო ფორუმებში.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:



ლავრენტი ჯანიაშვილი











სხდომის მდივანი:



სალომე ოქრუაშვილი

13. 12. 2019

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ენოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 13 დეკემბრის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი 
- ლევან გორდეზიანი 
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი 
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი 
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე 
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე 
- დოდო ჭუმბურიძე 
- ელდარ ბუბულაშვილი 
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე 
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი 
- ლავერენტი ჯანიაშვილი 